ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელს: ა. თუთისანს
ფრენბურთის კლუბი ,,ცაგერის“
დირექტორის გია სილაგაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ფრენბურთის კლუბ ,,ცაგერში'' დღეის მდგომარეობით შტატით მუშაობს 9 თანამშრომელი, ხოლო შტატგარეშე 25 თანამშრომელი, კლუბის 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენს 175 450 ლარს. კლუბში, ასევე ,,დასაქმების ხელშეწყობის სახელომწიფო პროგრამის ფარგლებში'', საზოგა-დოებრივი სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამით დასაქმებულია 4 - თანამშრომელი.

კლუბში წვრთნას გადის სხვადასხვა ასაკობრივი, როგორც ვაჟთა ასევე გოგონათა გუნდები. 2022 წელს ფრენბურთის კლუბს გარკვეული მუშაობა აქვს გაწეული კლასიკური ფრენბურთის , საპლიაჟო (ქვიშის) და თოვლის ფრენბურთის პოპულარიზაციის მიზნით ჩვენს მუნიციპალიტეტში.

სპორტის სამინისტროს, ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის და ფრენბურთის კლუბი ,,ცაგერის“ მიერ დამტკიცებული სპრტულ ღონისძიებათა კალენდრის მიხედვით, მონაწილეობა გვაქვს მიღებული რესპუბლიკურ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში, ასევე ჩატარებული გვაქვს რამდენიმე ადგილობრივი ღონისძიება:

მათ შორის მ/წლის თებერვალში 1. მონაწილეობა მივიღეთ დაბა ბაკურიანში ჩატარებულ საქართველოს 2022 წლის ჩემპიონატზე თოვლის ფრენბურთში(ორი გუნდით) და დავიკავეთ I და II- ადგილები.

2. მარტში ქ. თბილისში საქართველოს 2021-2022წლის 30-ე ეროვნულ ჩემპიონატის მეორე ტურის თამაშებში დავიკავეთ 1-ადგილი

3. მარტში ქ. თბილისში საქ. 30-ე ეროვნულ ჩემპიონატის მესამე ტურის თამაშებში, მოვიგეთ ყველა შეხვედრა და დავიკავეთ I ადგილი.

4. 3-10 მაისს ქ. თბილისში ოლიმპიური მომზადების ცენტრის დარბაზში საქ. ჩემპიონატის პლეიოფის თამაშებისათვის ფრენბურთის გუნდმა გაიარა მოსამზადებელი შეკრება.

5. 12-14 მაისს ცაგერში სპორტის სასახლეში მიმდინარეობდა ქ.ცაგერის, ქ. ქუთაისის, ქ.ყვარელის და ქ. თბილისის უმაღლესი ლიგის ვაჟ ფრენბურთელთა გუნდების ვარჯიშები

6. 15-17 მაისს ცაგერის სპორტის სასხლეში ჩატარდა საქართველოს 30-ე ეროვნული ჩემპიო-ნატის ნახევარფინალური და ფინალური თამაშები სადაც მონაწილეობდა ქ. ქუთაისის, ქ. ყვარლის, ქ. თბილისის და ცაგერის ვაჟთა გუნდები, ჩვენმა გუნდმა მოიგო ორივე თამაში და ზედიზედ მესამედ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

7. 27-30 მაისს მონაწილეობა მივიღეთ ქ. ბათუმის ღია პირველობაზე 2005-2006წ დაბადებულ ჭაბუკთა შორის, დავიკავეთ IV ადგილი.

8. 16-21 ივნისს მონაწილეობა მივიღთ ქ. ბათუმში საქართველოს 2022 წლის ასაკობრივ (2007-2008) ჩემპიონატზე დავიკავეთ III ადგილი.

9. 23-26 ივნისს მონაწილეობა მივიღეთ საერთაშორისო ტურნირზე ქ. ბათუმის 2022 წლის თასის გათამაშებაზე ქვიშის ფრენბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღო ბელარუსის, რუსეთის, ბულგარეთის, ბათუმის, ისრაელის და ცაგერის ვაჟთა გუნდებმა, ჩვენმა გუნდმა წარმატებით იასპარეზა მოიგო ყველა თამაში დაიკავა პირველი ადგილი და დაეუფლა ბათუმის 2022 წლის თასს.

10. ივნისის თვეში ჩავატარეთ მუნიციპალიტეტის პირველობა საჯარო სკოლის გუნდებს შორის.

11. მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით 5-6 სექტემბერს ჩავატარეთ მუნიციპალიტეტის პირველობა ქ, ცაგერის უბნებისა და სოფლების ფრენბურთელთა გუნდებს შორის.

12. 7-10 სექტემბერს მონაწილეობა მივიღეთ ქ. ბათუმში აჭარის ღია ჩემპიონატზე საპლიაჟო ფრენბურთში ,,ოქროს ბურთი 2022'' დავიკავეთ IV-ადგილი.

13. 28- სექტემბერს ჩავატარეთ მუნიციპ. პირველობა ორგანიზაციათა გუნდებს შორის.

14. 30-სექტემბერი-3 ოქტომბერი მონაწილეობა მივიღეთ ქ. თბილისში საქართველოს 2022 წლის ეროვნულ ჩემპიონატზე ქვიშის ფრენბურთში დავიკავეთ IV-ადგილი.

15. 25-26 ოქტომბერს ქართული ჭიდაობის ფედერაციასთან, მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახურთან და სასპორტო სკოლასთან ერთად ორგანიზება გაუწიეთ და მაღალ დონეზე ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში.

16. 19-ნოემბერს მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახურთან ერთად ორგანიზება გავუწიეთ და მაღალ დონეზე ჩატარდა სასკოლო ოლიმპიადა ფრენბურთში ვაჟთა და გოგონათა გუნდებს შორის.

17. 27 ნოემბერი -2 დეკემბერი მონაწილეობა მივიღეთ ქ. გორში საქართველოს 31-ე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის თამაშებში დავიკავეთ II-ადგილი.

18. პერსპექტიულ მოზარდთა და ჭაბუკთა გამოვლენის მიზნიტ 8-9 დეკემბერს ჩავატარეთ მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში საჯარო სკოლის გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის.

2022 წლის განმავლობაში პერიოდულად სპორტის სასახლეში მიმდინარეობდა სასპორტო სკოლის ნორჩ რაგბისტთა გუნდის ვარჯიშები.

ფრენბურთის კლუბის დირექტორი: /გ.სილაგაძე